

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „წლის ხელოვანი“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა“, ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“, ღონისძიების „წლის ხელოვანი“ (შემდგომში - ღონისძიება) შესარჩევი კონკურსის ჩატარების პირობებს, ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს, მხარეთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.
2. ღონისძიების ფარგლებში, მიმდინარე წლის წარმატებულ ხელოვანთა შორის, გამარჯვებულთა გამოვლენა ხორციელდება კონკურსის წესით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - კომისია) სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გათვალისწინებით/საფუძველზე, მერის ბრძანებით.
3. კონკურსში მონაწილეობის მიღება, როგორც წესი, შეუძლია კულტურის სფეროში მოღვაწე იურიდიულ (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება) და ფიზიკურ პირს (შემდგომში - ნომინანტი), რომელმაც მიმდინარე წელს მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება და განაცხადის შეტანის მომენტისთვის რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გამონაკლის შემთხვევაში - საქართველოს მოქალაქე, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში, მუშაობს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
4. ნომინაციებში გამარჯვებულ პირებზე გასანაწილებელი ფულადი ჯილდოების მთლიანი ოდენობა შეადგენს - **15 000 ლარს**.
5. დაჯილდოების ცერემონიალის დაგეგმვა-განხორციელებასთან მიმართებაში, ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) გავრცელების აღკვეთის მიზნით, გათვალისწინებულ იქნეს, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეგულაციების - რეკომენდაციების დაცვა, უზრუნველყოფა.

მუხლი 2. მიზანი და ამოცანები

1. ღონისძიების მიზანია კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა, ხელოვანთა მხარდაჭერა, სტიმულირება, წახალისება.
2. ღონისძიება ითვალისწინებს:
 - 2.1. კულტურის დარგში (თეატრი, მუსიკა, ქორეოგრაფია, ლიტერატურა (დრამატურგია, პოეზია, პროზა), კინომატოგრაფია (დოკუმენტური კინო, ანიმაციური ფილმები, მხატვრული კინო), ფოტოხელოვნება, მოქანდაკეობა (სკულპტურა), ხუროთმოძღვრება (არქიტექტურა), მხატვრობა), წარმატებული ხელოვანების გამოვლენა - დაჯილდოებას, რომლებმაც მიმდინარე წელს მიაღწიეს მნიშვნელოვან - თვალსაჩინო, განსაკუთრებულ და

გამორჩეულ პროფესიულ წარმატებებს, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის თუ მის ფარგლებს გარეთ და პირადი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის განვითარებაში და პოპულარიზაციაში, წარმოჩენაში, აღიარებაში.

- 2.2. წლის ნებისმიერ დროს ან ყოველი წლის დეკემბრის თვეში - დაჯილდოების ოფიციალური ცერემონიალის გამართვას.

მუხლი 3. ნომინაციები და ფულადი ჯილდოები (ერთჯერადი გასაცემლის სახით)

1. ღონისძიების ნომინაციები:

- 1.1 **„წლის ხელოვანი“** - ხელოვანი, რომელმაც 2021 წელს თავისი შემოქმედებითი თუ პროფესიული საქმიანობით, მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას - საერთაშორისო, ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის (ან სხვა) მასშტაბით. რომელიც გამორჩეულია პროფესიული ოსტატობით, კვალიფიკაციით, კულტურის/ხელოვნების იდეალების ერთგული მსახურებით და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება. ორი გამარჯვებული (ქალი და მამაკაცი). გადაეცემა მერიის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი (შემდეგში - პრიზი) და ფულადი ჯილდო;
- 1.2 **„რჩეული ხელოვანი“** - ხელოვანი, რომელმაც 2021 წელს თავისი პროფესიული საქმიანობით, შემოქმედებით, ღვაწლით, მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება. არაუმეტეს, სამი გამარჯვებულისა. გადაეცემა პრიზი და ფულადი ჯილდო;
- 1.3 **„წლის დებიუტანტი“** - ახალგაზრდა ხელოვანი, წლის აღმოჩენა, რომელმაც 2021 წელს თავისი შემოქმედებითი, თუ პროფესიული საქმიანობით, კარიერის საწყისზე - დებიუტზე, მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება. ორი გამარჯვებული (ქალი და მამაკაცი). გადაეცემა პრიზი და ფულადი ჯილდო;
- 1.4 **„დიდოსტატი“** - აღმატებული ხელოვანი, ქვეყნის, ხალხის, საქმის ერთგული, განსაკუთრებით გამორჩეული, აღიარებული ხელოვანი, არანაკლებ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილებით, რომელმაც 2021 წელს პირადად ან/და მისი უშუალო მონაწილეობით (მეცადინეობით, საქმიანობით), მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას, რომელიც საზოგადოებრივი ღვაწლით თუ პროფესიული საქმიანობით, თავისი შემოქმედებით, ემსახურება ხელოვნების განვითარებას, ეროვნული კულტურის პოპულარიზაციას - მრავალსაუკუნოვანი, ეროვნული ღირებულებების, უძველესი ტრადიციებისა და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის თვითმყოფადობის - ქართული ფასეულობების წარმოჩენას. არაუმეტეს, ხუთი გამარჯვებულისა. გადაეცემა პრიზი და ფულადი ჯილდო.
- 1.5 **„წლის კოლექტივი“** - ხელოვანთა ჯგუფი, გუნდი / დასი / ანსამბლი (ან სხვა მსგავსი) - კოლექტივი (იურიდიული პირი ან იურიდიული პირის შემადგენლობაში მყოფი), რომელმაც **2021 წელს** მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება საერთაშორისო, ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის (ან სხვა) მასშტაბით და დაიმსახურა განსაკუთრებული აღიარება. გადაეცემა პრიზი;
- 1.6 **„წლის კულტურის მუშაკი“** - კულტურის სფეროში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული პირი, რომელმაც მ.წ. მიღწეული წარმატებით თუ გამორჩეული პროფესიული საქმიანობით, გაწეული ღვაწლით, კულტურის იდეალების ერთგული და გულმოდგინე მსახურებით, დაიმსახურა აღიარება. არაუმეტეს, ხუთი გამარჯვებულისა. გადაეცემა სიგელი და ფულადი ჯილდო;

2. დასაშვებია, კომისიის გადაწყვეტილებისამებრ, ნებისმიერ ზემოხსენებულ ნომინაციაში წარდგენილ პირს, რომელმაც ვერ გაიმარჯვა დასახელებულ ნომინაციებში, მაგრამ იმსახურებს აღიარებას, გაეწიოს რეკომენდაცია - დაწესდეს სპეციალური პრიზი/ტიტული და გადაეცეს

სადგამი ან/და ფულადი ჯილდო (ნომინაციებში გამარჯვებულ პირებზე გასანაწილებელი ფულადი ჯილდოების ოდენობის ფარგლებში), რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.

3. ნომინაციებში გამარჯვებულ პირებზე გასაცემი ფულადი ჯილდოების სავარაუდო ოდენობას, განსაზღვრავს კომისია (მერზე წარსადგენად).

მუხლი 4. ავტორიზაცია

1. ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, ნომინანტის წამოყენების უფლება აქვს:

1.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ იურიდიულ პირებს (შპს/ა(ა)იპ/სსიპ);

1.2 ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრს“;

1.3 ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას“;

1.4 ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თვითშემოქმედებით კოლექტივებს;

1.5 მოქალაქეთა არანაკლებ 20 კაციან საინიციატივო ჯგუფს.

2. ერთი ნომინანტი შეიძლება წარდგენილი იყოს სხვადასხვა ნომინაციაზე მაგრამ არაუმეტეს 3-სა. ფორმატი: ერთი განაცხადი - ერთი პიროვნება - ერთი ნომინაცია.

3. რამდენიმე ნომინანტის წარდგენის შემთხვევაში, თითოეულ ნომინანტზე ივსება ახალი განაცხადი. ფორმატი: ერთი განაცხადი - ერთი ნომინანტი - ერთი ნომინაცია.

4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა, უფლებამოსილმა პირმა (შემდგომში - აპლიკანტი), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25) უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.1 შევსებული განაცხადი (დანართი 2);

4.2 ბიოგრაფიული მონაცემები;

4.3 ფოტოსურათი (ერთი ცალი);

4.4 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი;

4.5 თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, კანონიერი წარმომადგენლის (დედის ან მამის) პირადობის მოწმობის ასლი და განმცხადებლის დაბადების მოწმობის ასლი;

4.6 ნომინანტის მიერ, მიმდინარე წელს მიღწეული წარმატების - პრემია / ჯილდო / სიგელი (ან სხვა) დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ქსერო ასლი) ან/და ღვაწლისა და დამსახურების ამსახველი აუდიო/ვიდეო (არსებობის შემთხვევაში) მასალა;

4.7 სასურველია, ნომინანტის წარდგინება - ვიდეო რგოლის ფორმატში (თანდართული CD დისკზე ან გადმოგზავნილი ელფოსტაზე). ხანგრძლივობა - ერთ წუთის ფარგლებში. ძირითადი ბიოგრაფიული მონაცემები ან/და პროფესიული მიღწევები და წარმატებები - სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და ა.შ. ნებისმიერი. ასევე, დასაშვებია - ჰობი, მიზანი ან სხვა, ნომინანტის შეხედულებისამებრ. ამასთან, მერიას აქვს უფლება, საჭიროების შემთხვევაში ვიდეო რგოლის გამოყენება / ატვირთვა;

5. ხელოვანის წარდგენა იმავე ნომინაციაზე, რომელშიც ის წინა წელს დასახელდა გამარჯვებულად, გარდა ნომინაციისა „წლის კოლექტივი“, - ჯილდოს მიღებიდან, შემდეგი წლის განმავლობაში - დაუშვებელია. რაც შეეხება ნომინაციაში „დიდოსტატი“ გამარჯვებულ პირს, აღნიშნული წოდება ენიჭება სიცოცხლეში ერთხელ.

6. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე (ბეჭდური სახით - Microsoft Word Document / Sylfaen), ხოლო უცხო ენაზე წარმოსადგენი დოკუმენტი სასურველია იყოს ნათარგმნი ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული.

7. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

8. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;
9. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტაციის შესწავლა.
2. აპლიკანტის მიერ წარდგენილი განაცხადი, ამ დებულებით გათვალისწინებულ, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით, გადაეცემა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).
3. განყოფილება:
 - 3.1 უზრუნველყოფს წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავებას და რეესტრში შეყვანას;
 - 3.2 შეისწავლის განაცხადს და არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, აპლიკანტს წერილობით აცნობებს ხარვეზის გამოსწორების თაობაზე. ასევე, განხორციელდება კომუნიკაცია, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;
 - 3.3 განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოსწორებლობის შემთხვევაში - განაცხადი კომისიაზე არ განიხილება;
 - 3.4 თუ დოკუმენტაცია შეესაბამება წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებს - მასალებს წარუდგენს კომისიის წევრებს;
 - 3.5 ამზადებს მოხსენებით ბარათს (კომისიის თავმჯდომარის სახელზე) წარმოდგენილი დოკუმენტაციის, წინამდებარე დებულებასთან შესაბამისობის თაობაზე.
4. მეორე ეტაპი ითვალისწინებს განაცხადების განხილვას კომისიური წესით (დასაშვებია ელექტრონული ფორმატი), მათ შორის კომისიის სხდომაზე, აპლიკანტის მოწვევას (საჭიროების შემთხვევაში).

მუხლი 6. განაცხადების მიღებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს აღნიშნული წესის დამტკიცების დღიდან, მიმდინარე წლის 7 დეკემბრამდე.
2. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე.
3. გადაწყვეტილების მიღება ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 7. კომისიის უფლებამოსილებები

1. კომისია:
 - 1.1. თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე წესით;
 - 1.2. ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;
 - 1.3. ამტკიცებს იმ განაცხადთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;
 - 1.4. განიხილავს განაცხადებს, აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს გამარჯვებულებს თითოეული ნომინაციის მიხედვით და გასცემს რეკომენდაციებს;
 - 1.5. უფლებამოსილია, ამა თუ იმ ნომინაციაზე წარდგენილი ნომინანტი, აპლიკანტთან შეთანხმებით, წერილობითი თანხმობით (დაზუსტება/კორექტირება), განიხილოს იმ ნომინაციაზე, რომელიც გაცილებით უფრო მეტად მიესადაგება მის მონაცემებს;

- 1.6. განსაზღვრავს, გამარჯვებულ პირებზე გასაცემი ფულადი ჯილდოების ოდენობას;
- 1.7. უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
2. კომისიის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით.
3. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
4. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი.
5. საჭიროებიდან გამომდინარე (საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე) კომისიის სხდომა შეიძლება გადაიდოს ან ჩატარდეს დამატებით.
6. კომისიის თავმჯდომარე:
 - 6.1. წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;
 - 6.2. კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს მოხსენებით ბარათს განხილვის შედეგების შესახებ (ბრძანების პროექტთან ერთად).
7. კომისიის მდივანი:
 - 7.1. ახორციელებს განაცხადების შესწავლა-დამუშავებას და რეესტრში შეყვანას. ასევე, კომისიის სხდომის ორგანიზებას, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;
 - 7.2. კომისიას მოახსენებს/გააცნობს ინფორმაციას თითოეულ ნომინანტზე, თითოეული ნომინაციის მიხედვით;
 - 7.3. კომისიის წევრთა მიერ, განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების დაჯამებით, ახდენს საბოლოო შედეგების გამოვლენას;
 - 7.4. აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას (საბოლოო შედეგებთან მიმართებაში) ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ასევე, აუცილებელია ოქმში დაფიქსირებული სიტყვით გამომსვლელებს ხელმოწერა, მის მიერ წარმოთქმული სიტყვის / ტექსტის სისწორის დადასტურებასთან მიმართებაში ან/და მის მიერ გადმოგზავნილი კომენტარ(ებ)ი, რომელიც ოქმს თან ერთვის;
 - 7.5. ამზადებს მოხსენებით ბარათს, კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და გამარჯვებულ პირთა/სუბიექტთა დაფინანსების თაობაზე (ბრძანების პროექტთან ერთად), მერზე წარსადგენად.
8. კომისიის წევრი:
 - 8.1. შეისწავლის განაცხადს, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს (ზეპირსიტყვიერად ან/და წერილობით) და ახდენს შეფასებას;
 - 8.2. გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად.
9. კომისიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები კონფიდენციალურია და განკუთვნილია მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის.

მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები

საკონკურსო განაცხადის შეფასება ხდება 0 – 10 ქულის ფარგლებში, ბრძანების დანართი 3-ით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

მუხლი 9. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბოლოო შედეგები განისაზღვრება კომისიის თითოეული წევრის მიერ, წარდგენილი ნომინანტების (თითოეული ნომინაციის მიხედვით) შეფასების შედეგად, დაგროვილი ქულების დაჯამებით.
2. რეკომენდაცია გაეწევა იმ პირებს/სუბიექტებს, რომლებიც მიიღებენ ყველაზე მეტ ქულას, თითოეული ნომინაციის მიხედვით.
3. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გამამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია.
4. გადაწყვეტილების მიღება ხდება მერის ბრძანებით.

მუხლი 10. დაჯილდოების ცერემონიალი

1. დაჯილდოების ცერემონიალის გამართვის მიზანია: ქალაქის საზოგადოებასთან ერთად, საზეიმოდ აღნიშნოს - დააჯილდოს წლის ყველაზე წარმატებული ხელოვანები, კულტურის განვითარების, ქალაქ ბათუმის / რეგიონის / ქვეყნის წარმოჩენის, აღიარებისა და პოპულარიზაციისათვის გაწეული განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი წვლილისათვის.
2. როგორც წესი, დაჯილდოების ცერემონიალი იმართება მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ბოლოს, ხოლო დამაბრკოლებელ პირობებში (პანდემია ან სხვა) - გარემოებების გათვალისწინებით, მერის შეთანხმებით/გადაწყვეტილებით.
3. დაჯილდოების ცერემონიალის ლოკაციას, ფორმატს და სხვა ორგანიზაციული საკითხების დაგეგმვა - განხორციელებას, მერთან წინასწარი შეთანხმებით, უზრუნველყოფს სამსახური.
4. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დასახელების საქონლის/მომსახურების ღირებულება არის 500 ლარზე მეტი, განყოფილება განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებაში, ტექნიკური დავალების მომზადებასთან დაკავშირებით, აწარმოებს ბაზრის კვლევას - არანაკლებ ორი ადრესატი (ინვოისი, რომელიც დამოწმებული იქნება ინვოისის გამცემის ხელმოწერით და მითითებული იქნება მისი საკონტაქტო ინფორმაცია).

მუხლი 11. ანგარიშსწორების წესი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის წერილობითი მიმართვის და მერის ბრძანების საფუძველზე, გასცემს ფულად ჯილდოებს (ერთჯერადი გასაცემლის სახით).